



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 5
28/02/2017

5-03-4-201702281623



დადგენილება №5
28 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

- ცვლილება განხორციელდეს შემდეგ პრიორიტეტებსა და პროგრამულ კოდებს შორის:

1. პროგრამული კოდი 03 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა -გაიზარდოს 825,1 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).


2. პროგრამული კოდი 03 02 04 - კეთილმოწყობის სამუშაოები შემცირდეს 866,6 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

3. პროგრამული კოდი 05 02 0 2 11 - სსიპ სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი - გაიზარდოს 41.5 ათ. ლარით (გრანტების მუხლი).

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა